

სქესობრივი განათლების ეფექტურობა ინტელექტუალური
დარღვევის მქონე პირებში: ერთი შემთხვევის ანალიზი

ნათია ფეიქრიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია,
კლინიკური ფსიქოლოგია), მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული-პროფესორი,
დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ფეიქრიშვილი

22.06.2018 “

აბსტრაქტი

შესავალი: ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირებისათვის სქესობრივი განათლების შესაძლებლობა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. სექსუალური განვითარების მნიშვნელოვნების მიუხედავად, საზოგადოებასა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მომუშავე სპეციალისტებს შორის მწვავე კამათის მიზეზად რჩება საკითხი - ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირებს უნდა მივაწოდოთ თუ არა საერთოდ რაიმე სახის ინფორმაცია სქესობრივი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით განათლების არარსებობა ან არასწორი ინფორმაციის ფლობა, სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად, ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირებში იწვევს სოციალურად მიუღებელი სექსუალური ქცევების გამოვლენის სიხშირესა და ინტენსივობას.

მიზანი: კვლევის მიზანს წარმოადგენს ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირებისათვის სქესობრივი განათლების აუცილებლობის ხაზგასმა, მათ საჭიროებებსა და განვითარების დონეზე მორგებული სქესობრივი განათლების პროგრამის შედგენა, ინტერვენციისა და მშობლის როლის ეფექტურობის განსაზღვრა.

მეთოდები: შემთხვევის ანალიზის მეთოდის გამოყენებით სიღრმისეულად შესწავლილ იქნა ინტელექტუალური დარღვევის მქონე 26 წლის ქალის განვითარებისა და მიმდინარე მდგომარეობის ისტორია. მონაცემები შეგროვდა მონაწილეზე უშუალოდ დაკვირვების, დედისა და მასთან მომუშავე სპეციალისტების ინტერვიუების საშუალებით.

შედეგები: კვლევამ აჩვენა, რომ 5 შეხვედრისგან შემდგარი სქესობრივი საგანმანათლებლო ინტერვენცია ამცირებს სოციალურად მიუღებელი ქცევების გამოვლენის სიხშირეს, რასაც ხელი შეუწყო პროცესში ცდის პირის მშობლის მონაწილეობამ. ოჯახის წევრის აქტიური ჩართულობის შედეგად ინტერვენციის ეფექტურობის ზრდა კვლევის კიდევ ერთ შედეგს წარმოადგენს.

დასკვნა: კვლევაში გამოყენებული ხანმოკლე და სპეციფიური ინტერვენციის პროგრამის ეფექტურობა საფუძველს ქმნის მომავალში ინტელექტუალური

დარღვევის მქონე პირების სექსუალური განვითარების ასპექტების სიღრმისეული შესწავლისა და მათთვის სქესობრივი განათლების ინტენსიური და მრავალკომპონენტური ჩარევის გეგმის შემუშავებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სქესობრივი განათლება, ინტელექტუალური დარღვევა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ინტერვენცია, საგანმანათლებლო პროგრამა, სექსუალური ქცევა.

Abstract

Background: Sexual education is an important opportunity for people with intellectual disability. Despite the importance of sexual development, the issue between the public and the professionals working with people with disabilities remains the hot topic of arguing - whether people with intellectual disability should be provide with any information on sexual development or not. In the absence of education or misrepresentation of information in this direction, along with many other problems, people with intellectual disability lead to the frequency and intensity of socially unacceptable sexual behaviors.

Objective: The aim of the research is to highlight the need for sex education for people with intellectual disability, to create the appropriate sex education program fitting to their needs and to define the role of effectiveness of intercourse and the parent's role.

Methods: The history of the development and current situation of 26-year-old woman with intellectual disability has been studied in depth analysis using the method of case study. The data was collected directly through the observation and interview with her mother and the specialists working with her.

Results: The survey showed that sexual interventions which consists of 5 meetings with involvement of a parent reduces the frequency of socially unacceptable behaviors. Another result of the study is that active involvement of a family member increased the effectiveness of intervention.

Conclusion: The effectiveness of the short-term and specific intervention program used in the research creates a base for an in-depth study of sexual development aspects of the people with intellectual disabilities and for the development of intensive and multi-component intervention plans for them in the future.

Keywords: Sexual education, Intellectual disability, Persons with Disabilities, Intervention, Educational Program, Sexual Behavior.